

2017 წელი

აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№4 / თებერვლის პირველი



გარემოს ეროვნული სააგენტო

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები	2
2017 წლის თებერვლის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	4
დასავლეთ საქართველო.....	13

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

თებერვლის პირველი დეკადა ქვეყნის ტერიტორიაზე თბილი და ნალექიანი ამინდით ხასიათდებოდა.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა მრავალწლიურ მაჩვენებელთან შედარებით დასავლეთ საქართველოში 1° , ქართლში, კახეთში, წალკაში, თიანეთსა და ფასანაურში $1-2^{\circ}$ -ით მაღალი, ხოლო ხულოში 2° , ახალციხესა და ახალქალაქში 1° -ით დაბალი, ამბროლაურში კი ნორმასთან ახლოს აღმოჩნდა და შეადგინა: $5-6^{\circ}$ დასავლეთ საქართველოს დაბლობში, $2, -1^{\circ}$ დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, $1-3^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, გარდა დედოფლისწყაროსი (აქ ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა -1° იყო); $-1, -7^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში $15-18^{\circ}$, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში $9-14^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $14-17^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $1-11^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში $-2, -4^{\circ}$, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში $-6, -12^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $-4; -10^{\circ}$; აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $-11; -22^{\circ}$ -ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვლილ დეკადაში ძირითადად 1-4 დღის განმავლობაში მოდიოდა თოვლის სახით და მათი ჯამი ასე განაწილდა: 10-66 მმ (მრავალწლიური ნორმის 35-150%) დასავლეთ საქართველოში, 2-12მმ (მრავალწლიური ნორმის 15-133%) აღმოსავლეთ საქართველოში. დეკადის ბოლოს დღეს თოვლის საფარის სიმაღლე 1-194სმ იყო ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

ძლიერი ქარი (15 მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა 1-4 დღის განმავლობაში ქვეყნის ზოგიერთ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

დასავლეთ საქართველოში ციტრუსები ზამთრის მოსვენებით მდგომარეობაში იმყოფებიან.

აღმოსავლეთ საქართველოში საშემოდგომო ხორბლის გამოზამთრებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იყო.

მთიან ზონაში ნათესები თოვლის საფარის ქვეშ არიან, მათთვის საშიში მინიმალური ტემპერატურა არ დაფიქსირებულა.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრებზე საქონლის შენახვისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იყო. ცხვრის დოლი (ბატენის მოგების დრო) დაიწყო.





დანართი



2017 წლის თებერვლის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქართ 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %	თოვ ლის საფა რი
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღელაშური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი			
ქობულეთი	6.0	-	16	-4		64	95	30	4	4	2		
ხულო	-1.1	-2.1	9	-12		22	64	9	4	2			194
ზუგდიდი	5.7	0.9	18	-4		18	40	13	4	1			
ქუთაისი	5.6	1.1	15	-3		17	39	9	3	2	2	73	
ზესტაფონი	4.9	0.9	15	-2		66	150	29	5	3			
საჩხერე	1.9	1.3	14	-6		10	35	3	3				
ამბროლაური	0.4	0.1	12	-11		10	41	3	5		4	81	11
ხაშური(აგარა)	0.7	2.4	14	-8		4	33	1	3				18
გორი	0.9	1.5	14	-7		5	45	3	2				
თიანეთი	-1.9	2.2	9	-11		2	15	2	1				
ფასანაური	-0.8	1.9	11	-14		3	16	3	1				27
თბილისი	3.3	1.5	17	-4		6	75	3	2		1	80	
საგარეჯო	1.1	0.8	14	-7		12	133	5	3	1			1
დედოფლისწყარო	-0.9	-0.1	9	-10		8	114	3	3				6
თელავი	1.8	0.7	14	-9		6	66	4	2				
ყვარელი	2.1	0.5	15	-8		5	41	4	2				
ლაგოდეხი	2.4	0.8	16	-6		10	76	5	2	2			
ბოლნისი	2.6	1.5	17	-8		10	166	4	3			63	
ახალციხე	-3.5	-0.8	8	-18		8	100	5	2	1			12
წალკა	-2.9	1.9	6	-11		2	25	3	2				17
ახალქალაქი	-7.3	-1.1	1	-22		8	88	8	2	1			31







აღმოსავლეთ საქართველო







































დასავლეთ საქართველო











* ვინაიდან საქართველოს მთელი ტერიტორია დაფარულია ღრუბლებით და თოვლის საბურველით, ამ შემთხვევაში სატელიტური ინფორმაცია არ გამოდგება მცენარეული საფარის მდგომარეობის შეფასებისათვის.